

899.962.1(09)

5-757

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწარის უფლებით

ნანა რომანის ასული არახამია

ილია ჭავჭავაძის "განდებელი" ქართულ
ლიტერატურათმცოდნეობაში

10.01.01 - ქართული ლიტერატურა

სადისერტაციო მაცნე

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომისა

თბილისი
1999

899.962.1(09) - 1697-

5-757

სხსნაჯი 5.

ილია ჭავჭავაძის

ქმ.

- 1697-

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ ჭურულია**

ამსპარტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ გაქანიძე**

ოფიციალური მოწმობები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **როსტომ ჩხიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ბურამ გვინათაძე**

ნამყვანი ორბანიზაცია - სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის "4" ივნისს

"2" საათზე ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P 10.01.01 C № 2 სხდომაზე.

მისამართი: 380028 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 1999 წლის *შ. ა. ხიჯის*

დისერტაციო საბჭოს სწავლული

მდივანი, პროფესორი *მ. ჯ. ნ. ტაბიძე*

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თავის აბტჯალაობა: ილია ჭავჭავაძე ქართულ სინამდვილეში იყო და რჩება ღრმა ინტელექტისა და ანალიტიკური ტალანტის ხელოვნად. დიდი მწერალი და მოაზროვნე მუდამ ცდილობდა, ქართული მწერლობა ჩაერთო ევროპულ მხატვრულ-ესთეტიკური პრობლემატიკის წრედში. თავისი შემოქმედებითი მიზანსწრაფვით ილიას ქართველი მკითხველი აჰყავდა ევროპული ლიტერატურის ინტერესების დონემდე. ეს ეხება დიდი მწერლის თითქმის ყველა თხზულებას, მაგრამ განსაკუთრებით კი "განდევილს". "განდევილი" თავისი პრობლემატიკის მასშტაბურობით და საკითხთა გააზრების დონით არა მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, არამედ საერთოდ ქართული მწერლობის ისტორიაში ის თხზულებაა, რომელშიც დგას კაცობრიობის მხატვრული აზროვნების მანათობელ ვარსკვლავთა მიერ არაერთგზის გამოხატული თემის ასკეტიზმის - ქართველი მწერლის მიერ ახლებურად გააზრება. ამ გაბედული სვლითაც სცადა დიდმა ილიამ თავისი მხატვრული ძალა და სწორედ, რომ მისთვის ჩვეული შემოქმედებითი სიმამაცით შეერთო მსოფლიო ლიტერატურული პროცესის დიდ ოკეანეს. მართლაც, მსოფლიო ლიტერატურაში აღიარებული შეხედულებების მიხედვით, მხოლოდ დონჟუანისა და ფაუსტის თემები თუ უწევნ მეტოქეობას განდევილობის თემას. ალბათ, ამის გამოა, რომ ჩვენს მრავალსაუკუნოვან მწერლობაში რამდენიმე ნაწარმოების ჩამოთვლა თუ შეიძლება, რომელსაც აზრთა ისეთი სხვადასხვაობა და კრიტიკული რეფლექსირება ჰქონდეს, როგორც ილია ჭავჭავაძის "განდევილს". ეს, პირველყოფლისა, მისი ავტორის სერიოზულ ინტერესთა მაუწყებელია და, მეორეს მხრივ, ქართული ჰუმანიტარული აზროვნების სიმწიფის საბუთი. ილიას "განდევილი" ჩვენს სინამდვილეში ისეთ კულტურულ-ლიტერატურულ ნიშან-სვეტად აღიმართა, რომელმაც მიიპყრო

1
4691-

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი